

მართალი

№ 8.

სალამური

ყოველ-კვირიანი იუმორისტული.

0-11
ШАИИГ



„სიფხილის“ საზოგადოება.

— ბ...ბ...ბა...ტ...ბო!.. ჩ...ჩ...ჩე...ნ... უნ...დ...ა... შე...ვეგ...ნ...ოთ... ბნ...ე...ლ...
 ხ...ხ...ხა...ხს... რომ... არრრრ...ა...ყო... სა...საწ...ვია...
 — ზარრ... უმა!..

განსაცდელი.

(მელიტონ ჩოგავაძის ხსოვნას)

სიკვდილის შავი ხელი შეეხო
და შეუწყვიტა ძგერა გულისა.
ძირში მოსწყვიტა დაუნანებლათ
ამაყი ვარდი გაზაფხულისა.

თეორი გვირგვინი
მისთვის არა მსურს,
ვერ გამოხატავს
იმის სამსახურს!
ყვავილთ მივეძღვნე
ტურფათ შეფუთვნილს,
გზა ეკლიანსა იგი ეკუთვნის!

და ზედ დავახვე თავსა, სახესა,
თვალს, სიცოცხლემი ცეცხლის მფრქვეველსა!
მადლობის ნიშნათ გაყინულ გულზე
ცრემლთ დავაპყრებ მასწავლებელსა!

იასიმანი.

„სამშობლო“ განსაცდელშია!

(დრამატული საზოგადოების კრებისა გამო)

დიახ, სამშობლო განსაცდელშია!
რამდენიც უნდა ყური მოვიყრუოთ, რამდენიც
უნდა თვალეზი დავიბრძავოთ, რამდენიც უნდა
გრძნობები მივიჩლოუნგოთ, და რამდენიც უნდა გო-
ნება დავიზნელოთ, ჩვენი „სამშობლოს“ განსაცდე-
ლი, მისი აუცილებელი გადაგვარება მზესავით ნა-
თელია, ხვალინდელ დღესავით უეჭველია!

ენა დაეცა, ნიჭი დაჩაივდა, ქონებამ თავი და-
გვიკრა და დღეს, დიახ დღეს ვხედავთ, რომ ჩვენი
ქართველური გულიც, მამულიშვილოური ნდობაც, სა-
დღაც გამქრალა, წარსულს ჩაბარებია!

ოჰ, დაუნდობელი ბორბალო ცხოვრებისა ჩვე-
ნისაო! ტრიალებენ და ტრიალებენ დაუდგრომელნი
ფრთენი შენნი ცვალებად ყოველივე ამაოისა.

შენვე წარბოცე ქართველური სიამაყე ჩვენი!

მწვანე სევდის ცეცხლით აენათო ჩემი გონების
სახსარი, როცა „დრამატული საზოგადოების“ კრე-
ბის ანგარიში წავიკითხე. ღმერთო ჩემო! ღმერთო
ჩემო! ასეთი დაცემა, ასეთი დაქვეითება!

კეთილშობილი ქართველი თავდაზნაურობა
რალაც ანგარიშებს თხოვლობს! არა, ნუ თუ თქვენ
შეგიძლიათ გულდამშვიდებით მოისმინოთ ეს უკა-
ნასკნელი ნაბიჯი ჩვენი ეროვნული უკუსვლისა და
გადაგვარებისა?

ქართველი თავდაზნაურობა და ანგარიშები!!!

სჩანს მართალი ყოფილა თქმულება „არ გარ-
დივლის გარდუვალად, მომავალი საქმე ზენა“-ო. ასე-
თი ყოფილა ჩვენი ბედი!

შარშანდელი თოვლივით გამქრალა მამაშვილო-
ური ნდობა და მამა-პაპური პატივი უღვაშებისა. სა-

კმარისია რაიმე საზოგადო ფულეში ხელი გაუბრო,
რომ მაშინვე ანგარიში მოგთხოვონ, მაშინვე ეკვის-
თვლით შემოგხედონ! ანგარიშთანაა ჩვენ სომხე-
ბისა გვეჯავრებოდა, ახლა კი ქართველობაშიაც მო-
იკიდა ფეხი და არა თუ უბრალო ქართველობაში,
თვით ეროვნების დედა-ბოძში, ქართველ თავდაზ-
ნაურთა სიმაგრეშიაც შეიქრა.

საბრალო გოთუა! ეს ერთადერთი გულუბრ-
ყვილო ქართველი და შერჩა ჩვენს მამულს!!! მხო-
ლოდ ისა გრძნობს მთელი თავისი სიმწვავით თა-
ვად-აზნაურთა გადაგვარებას. მას, დამსახურებულ
ქართველ მოღვაწეს, უნიჭიერეს ქართველ დრამა-
ტურგს და უუზუსტეს ქართველ მოქალაქეს, რა-
ლაცა ფულეების, ხელის ქუქყის, ანგარიშებსა სთხო-
ვენ! განა ეს არის სამართალი?! განა საკადრისია
ასეთი იქვი ამგვარ მოღვაწეთადმი? განა საზოგადო
საქმეში, და ისიც ქართულში, გაგონილა ანგარიშე-
ბი? განა სულ ერთი არ არის როგორც და რაში და-
იხარჯა საქველმოქმედოთ გაღებული ფულეები? რო-
მელი ქართველი მოღვაწე იკისრებს საზოგადო სა-
ქმეში ჩაბმას, თუ მას ანგარიშებსა და სხვა ამგვა-
რებს მოვსთხოვთ? არავინ, არავინ და კვალად არა-
ვინ!

ესლა აკლდა ჩვენს ისეთაც ღუბჯირ ცხოვრებას
და ამასაც მოვესწარიო.

საზოგადო საქმეში ანგარიშებს თხოვლობენ!!!
ეშმაკი.

„მსაჯულევი“

დაეძებდა რამ საკბილოს
ერთი დამშეული მგელი
და სოფელში შემოიქრა
ეგ მსუნაგი, საძაგელი.

დაურბინა, დააყურა
აქ ქალთაში, იქ ბოსელში
და ბოლო დროს, როგორც იყო,
ერთი ცხვარი იგდო ხელში.

სტაცა პირი, დაიჭირა,
წამოიგდო ზურგზე იგი
და გასწია (იციის იმან
ცხვრის წალეების თადარიგი).

ალარ დარჩა მგლის ხახშიში
ცხვარს საშველი, რამ საღონი
და გააბა მან ყვირილი
მთელი სოფლის გასაგონი.

წამოიქრა ცხვრის პატრონი,
ეცა ბოსელს, ქალთას, ბაგას
და ცხვარი რომ ალარ იყო
დაიყვირა: „კვი მივას!!“

ნუ გაატანთ, ემგ წუწუმა
ამოაგდო სოფელიო,

სსა ძაღლებო, არ გაუშვით ჩემი დამამზობელიო!!“

უკიენა, გამოუდგა, მოიწურა ოფლის ღვარი, თან ძაღლების ატყდა ყეფა და გაუშვა მგელმა ცხვარი.

დაიმშვიდა გლეხმა გული ნარბენი და ნაყვირალი და ასწია მისი ცხვირი წუწკი მგელის ნაკბილარი მოიყვანა, მოუარა მოუწმინდა იარები და დალევრა იგი ცხვირი, მგელის ჩანაზიანები.

საეკეოა, საზოგადოთ, შეკებნილის გადარჩენა, ცხვარმაც მთელი იგი ღამე სულ კრუსუნით გაათენა.

რა გათენდა, სოფლებლებმა მისცეს ცხვარზე საჩივარი, არ აკპარეს იმ საცოდავს წუხანდელი სატყვივარი.

უჩიოდენ: „ამ ცხვარმაო, გვაწყენა ამითაო, რომ ყვირილით გავფაყრუა წუხელ, შულამითაო.

მან ძაღლებიც აიყოლა, — ყურთა სმენა წაიღესო, მყუდროობა დაარღვია, ნუ შერჩება მაგას ესო!!“

დაჯდენ ამის მსაჯულები, რიცხვი სრულად, ვგონებ, შვიდი, ამ საქმეზე შეკრბენ, თორემ სხვა დროს ერთად ვერ ნახვიდი).

ისხდენ, იბჰეს, ითათბირეს შეაყენეს განაჩენი და ცხვარს „გაფრთხილება“ მისცეს... (შოისმინეთ დანარჩენი)

უთხრეს: „სოფელს შვალამისას მოსვენება სკირიაო, შენ კი ამ დროს, თურმე, ბრიყვო, ცივ ცივად გიყვირაო.

შენისთანა, ვიცით, იმ მგელს ბევრი შეუტამიაო, მარა რავქნათ, შენ ტვირთი შენვე ზიდე ძამიაო!

რამდენს მგელი მოგადგება შესაქმელად კარზე-შინო. აქ სოფელი რაშეაშია, რომ იყვირო, არ აძინო?

ამისათვის, ამას ანბობს გონიერი ის კრებაო,

რომ სასჯელი უდიდესი, შეგფერის, გეკადრებაო. მარა რადგან უვიცი ხარ რა ვქნათ, შეგრჩეს ეგ ერთიო პირველია ეგ შეცდომა, მოგეხმარა შენ ღმერთოო. შემდეგისთვის, უბედურო, თუ გაბედე კიდე ესო, ნახავ მაშინ, თავხედობა შენ რამდენათ დაგიჯდესო!

რალათ გინდათ რომ გიაშოთ შემდეგი და დანარჩენი? რაც სოფელი, ის მსაჯულიო, ისიც მისი განაჩენი...

ა. ბლიკვაძე.

დეკაჟაგი გურიიდან.

(ლიკლიკაძის საავტორო)

ოზურგეთი. მოულოდნელი ამბის გამო გორ-გასლიძე ლოგინათ ჩავარდა. მომვლელი არავინა ყავს მელიტონის ვარდა, რომელიც ყოველ დღე პარაკლისს იხდის.

იქიდანვე საქალებო სკოლის მასწავლებელ ქალებს ადგილი დაუბრუნეს, რამაც თავ-ზარი და-სცა სტირი-ან რემინგტონზე დაბეჭდილ საპროტექციო წერილს.

შემოქმედი. (დამატებითი დებეშა) შეტაკების დროს ყორეს ვარდა სასიკვდილოდ დაქრილა ჩხიკვაძის კატა, რომელიც უკვე გარდაიცვალა. ჩხიკვაძე ზარალს პოლიციას უჩივა, რადგან კატა ბერდის ტყვიით არის მკვდარი. საქმის წარმოებაზე ფინკოვმა უარი თქვა, მაგრამ როგორც შემოქმედლების სიძე, პლატონი შეუდგა.

შემოქმედა. ბიბლიოთეკა-სამკითხველოს აღ-დგენას მალე შეუდგებთან.

ლანჩხუთი. ლანჩხუთმა უთხრა შუხუთსო:


თავი ტყუილათ გიხურსო, მარინცკი“ სასწავლებელი სახუნტრუკოთა ნუ გვსურსო.

ოზურგეთი. დაიბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა: 1) პოემა „გლოვა მელიტონისა“ — გორგასლიძის გადაღების გამო. 2) „პრისტაო ჩვენო!“ — პოემა მღვდ. ბარნაბა თენიეშვილისა.

ორივე პოემა ნოტებზე გადილო მელქისედეგ ათონელმა.

ბახვი. ვაი სამსონ უი სამსონ, ნეტავ როგორ დაგაფასონ?

ოზურგეთი. სობოროს დეკანოზის კანდიდატმა მღ. მაქსიმე სიხარულიძემ რუსულათ სწირა რუსები გაიქცენ — ქართველებმა ბევრი ისიამოვნეს. — სიცილით გული იჯერეს.



დათრგუნე: ფეხ-წარკვეთილისა.

ავათმყოფი. (დასუსტებული ხმით) ბ-ნო ფერშალო, მგონი ეს ტერმომეტრი არ არის დარეკილი. გთხოვთ ზომაზე დააყენოთ, მე ამისი ღონე არ შემწევს.

ფერშალი ქალი. (წყრომით) ხმა გაიკმინდე. იმისი ნება ავათმყოფთათვის არავის მიუცია, რომ ფერშლებს შენიშვნა აძლიონ.-.



ფოთის ცხოველებთან



წერილის მოღარაჯე

ვინმე სამართახხო. ხუთი საათი გამრგვალდა აქა ვარ დაყუდებული სარედაქციო წერილი მაქვს ყუთში გადაადიბული.

ფოსტალიონი. აქედან მისი წაღება არ მოხერხდება მგონია. ვინმე სამართახხო. „ქრთამი ჯოჯობეთს ანათებს“ ეს შენ ხომ გაგაგონია?

ჩემო სულის ღმერთი..

ჩემო სულის ღმერთი, ხორცსხმული ტანჯავი, ეკლის გვირგვინით თავ შემკობილო, ხელ-დაკორძილო, ფეხ-დაწყლულულო, ოფლში და ცრემლში გამოწრთობილო!

შენსავ ტანჯვის ჩანგს-შენი მგოსანი ფრთხილად ჩამოჰკრავს ანათრთოლ თითებს: ააქვითინებს კენჭნიანად, ველსა მოაპნევს მსუბუქ ხმის ზვირთებს...

სიო დაუვლის, ხმებს გაიტაცებს ყვაილებ შორის მოარონინებს, მათ ნახ გულეზე ფრთხილად მიაწვენს, რწვევს დაუწყებს და უნანინებს.

მათ იამებათ, ტურფა ყვაილებს, ეგ მწარე ხმები-ტანჯვის მოთხრობა და ეცდებიან, რომ არ მოაქლონ სასურველ სტუმარს კარგი მოპყრობა:

ზოგი სააჰო სუნსა მოაკმევს, ზოგი მკერდიდან ნექტარს ასხურებს, ზოგიც ნაწამებ შუბლს გაუსინჯავს და ზედ ხელს ფრთხილად გადააკურებს,

რომ არ გაეკრას მახე იარებს, არ იშალონ ისევ წყლულები და არ გადმოჰქდენ ნაჩევე უგზო გზით სისხლის მორბედი ნაკადული!..

ჩემო სულის ღმერთი! შენსავ ტანჯვის ჩანგს ფრთხილად ჩამოგკრავ ანათრთოლ თითებს, გულს დაგიაშებ, ოფლსა გადაგწმენდ, მომაბეზრებელს ჩამოგხსნი ტვირთებს!

ხმას მიგადარებ თავისუფალსა... თვით გავიქცევი იქ, მინდორ-ღელათ: დავკრფე ყვაილებს და შენ მოგიტან ნაწამებ შუბლის შესამკობელათ.

შენც ნუ დამიშლი. . ეკლით დაწნული შენი გვირგინი ძირს გადმოიღე და ნაცვლად კონა ყვაილებისა, ვით მცირე ძღვენი, ჩემგან მიიღე!..

6. ზომლეთული

ემბაკის ინტერვიუ.

პართენ გოთუასთან.

პირადი ანგარიშები საზოგადო საქმეში არასოდეს არ უნდა გაერიოს. საქვეყნო საქმეში მოითხოვა და მიუხედავად ჩემი უკიდურესი მისდამი მიუღრეკელობისა, მაინც გვახელით პართენის უქანასკნელ რეზიდენციაში.

წარმოიდგინეთ, ვერაფერი იმის მავარი, რაც „მათრახის“ ფურცლებზე გამოხატული ვერა ვნახე იქ! არც კბილიანმავთულების ღობე, არც ზარბაზან-

ტყვის მტყორცნელი და წარმოიდგინეთ, არც არავითარი ნაგანის რევილოვერი იქ არა სჩანდა.

სამაგიეროთ ამ ბოლო ხანებში ჩვენი დაულაღვი მოღვაწე ერთობ გამოცვლილა. ზის უფრო დინჯათ, ქუიან კაცავით, ლაპარაკობს წყნარათ და მოფიქრებულათ.

— რით შეგვიძლია დაგეხმაროთ! თავაზიანად მომმართა შესვლისათანავე.

— ორიოდ სიტყვის მოწოდებით.

— „სიტყვა“ აქ არა მუშაობს. ის ჩვენი დაუძინებელი მტერია! თითქო სხვა სალაპარაკო დაეღლიაო, მუდამ „ქართულ რუსულ“ გაზეთებზე ჩხაბნის და ჩმახავს ჩმახავს და ჩხაბნის!

— არა, მე ის „სიტყვა“ სრულიადაც არა მქონია სახეში...

— როგორ, სახეში? სახეში?.. გოთუამ ინსტიტუტურათ მიიფარა ხელი სახეზე, თითქო განსაცდელი რამ ყოფილიყოს მოალოდნელი.

— რატომ გეუცხოვათ? მე მსურს ცოტა ანგარიშების შესახებ...

— სწორეთ ვერ ვამიგია... თქვენთან მე რა ანგარიშები მაქვს გასასწორებელი. ამ ლაპარაკში მან მარჯვენა ხელი ჯიბეში ჩაიყო და რაღაცა გააჩხაკუნა

— მაკვირებს თქვენი მოუთმენლობა. მინდა გავიგო დრამატული საზოგადოების გამგეობის ანგარიშები. ვაიგოანე, თითქო თქვენ ამის შესახებ საყვედურები შეგხვედროდეს.

— ჰოოო! ეს სხვა საქმეა. ეს რამდენიც გნებაეთ!..

— მართალია ის ხმები, ვითომც საზოგადო კრებას ანგარიშების მოთხოვნა გაბედოს?

— წარმოიდგინეთ, წარმოიდგინეთ მართალია! აი ამ დღეს მოვესწარით, ბ-ნო ეშმაკო, ლეთისა და თქვენის წყალობით!

— თქვენს ოჯახში ყოფნით არ ისარგებლებთ მგონია და შეურაცხყოფას არ მომაყენებთ. მე ამ საზარელ საქმეში არავითარი წილი არ მიძევს.

— ოჰ ღმერთო ჩემო, როგორ გიგოსავით უცებ აღუდლებით ხოლმე. ადამიანს ყველაფრის მოთმენა უნდა შეგეძლოს. ჩემის აზრით თქვენ საზოგადო მოღვაწეთ არ ივარგებთ

— რასაკვირველია, რა თქმა უნდა! თქვენ ის მიბრძანეთ, რა პასუხი მიეცით თავაშვებულ კრებას?

— რა პასუხი უნდა მიმეცა? ნუ თუ თქვენა გგონიათ, რომ მე იქ რაღაც ციფრების ჩხრეკაში დავკარგავდი იმ ძვირფას დროს, რომელიც! აქირო იყო ეროვნულ სასცენო ხელოვნებისა და ლიტერატურის ასაყვავებლათ.

— მომწონს, მომწონს!

— ეს ჩვენს დაცემულსა და გათახსირებულ დროშია შესაძლებელი, თორემ...

— რა თქმა უნდა 1901 წელში ვერ გაბედავდენ. მაშინ, როგორც ვიცი არა ორი და სამი ათასი, არამედ ორმოცსა და სამოც ათასებში გქონდათ ხელი, მაგრამ ანგარიში არავის ჰოუთხოვია.

— გასაოცარია სწორეთ! რის ანგარიში, რა ანგარიშიო. მე საზოგადოთ არ მიყვარს ანგარიში. ჩემი საკუთარი თავისათვის ვერ მიმიცია ანგარიში, არა თუ იქ ვილაც ურა თავადებს ვაძლიო.

— სრული ქეშმარიტება!

— მე რომ ამდენი ანგარიშის თავი მქონოდა, განა დავიწყებდი ამ მიწისთვის საქმეში ქექას?

— ვთომ რატომო?

— რატომ და იმიტომ, რომ საბოლოოთ ყველა მართალი გამოდის. ხოლო შეურაცხყოფილი და დამნაშავე ერთად ერთი მე ვრჩები.

— თავვისა და კატის ამბავი მოგსვლიათ.

— რომელი თავვი და კატაო! ყოველგვარი უბედურება ჩემთან იყრის თავს.

— ანგარიშების საქმეს მაინც როგორ აპირობთ?

— აბა რა ვიცი თუ მაინცა და მაინც არ დაუშლიათ, დავჯდები ერთ საღამოს და ჩამოვწერ რასმე რა დიდი საქმე მავას უნდა. მე გულსა მტკენს მხოლოდ ის გარემოება, რომ ხალხი გაფუქდა, ერთმანეთის ნდობა დაეკარგა საზოგადო საქმეში ანგარიშები გახშირდა და მოღვაწის მღგობარეობა ამით აუტანელი შეიქნა.

— თქვენ აპირობთ დარჩენას გამგეობაში?

— რა მოგახსენოთ. თუ ძლიერ შემეხვეწებინათ რავექნა, უარს ვერ ვეტყვი.

— ანგარიშიც რომ მოგთხოვონ?

— რაო? ანგარიში?! უკაცრავათ! მე არავის მივსცემ იმის ნებას, რომ ჩემს მოღვაწეობას იქვის თვალთ შეხედოს.

— მაშ რას იზამთ?

— ან სრული თავისუფლება მოღვაწეობისაგან, ან სრული თავისუფლება ანგარიშებისა და ექვებისაგან.

— საუცხოვო!

— საუცხოვოც არის და სავალდებულოც. ეშმაკი.

რა შეიტყვე ჩიტუნია?

რა შეიტყვე ჩიტუნიავე, ეგ გული რამ გაგიხურა? ვინ გითხრა თუ ზამთრის სუსხი მინელდა და მიიწურა? რომ დაცელობ ტოტით-ტოტზე დანავარდობ და ქიკიკობ, ალბათ იგრძენ გაზაფხული და შემოქმედს აქებ, ამკობ. ის ვინღა გვერდს რომ გიწის

შენებრ ტურფა ჩიტუნია? მორცხვათ კრძალვით ყურს რომ გიგდებს გულის კარი გაუხსნია!

ჰა, მივხვლი... შენც მოგინახავს სატრფიალო სულის სწორი, და გვინათ ეშხით მთვრალებს თქვენ ხართ ქვეყნათ მარტო ორი!

ოჰ ეტავ თქვენ, მაგრამ მე კი ამიშალეთ მძიმე წყლული, მომაგონეთ სატრფო ჩემი მტარვალთაგან შებაწრული!..

საცრემლოთაც ვერ ვიმეტებ არ მგონია დაკარგული...

მაშ ჯერ რა გვაქვს ჩვენ საერთო, მე კენესა, შენ სიხარული!

შხანკოლ.

დეტექტივი.

(სამტრედიის რაიონიდან)

(«ვარგისლის სააგენტო»)

დ. სამტრედია. ამ ცოტა ხანში აქ ერთი აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა. ექი-დოხტურ-აკუშორ, დანტისჲ ქირურგ ნესტორს ერთი ავთმყოფისა თვის დაენიშნა წამლიან ბოთლში გაძრომა. ასეთი საოცარი ოპერაციის შემდეგ ექიმს მარტოთ მარტო ავთმყოფის ფეხებ-ლა შერჩა ხელში. სხვა ნაწილები ტანისა კი საზღაპრო ბოთლმა შთანთქა უმოწყალოთ. მოველით პატრონ-ქირისუფალოთ, მაგრამ გამკითხავი არვიანა?! ისევ ვიმედოვნებთ დარჩენილი ფეხების მოსალოდნელმა სიმყარემ შეიძლება აღმოაჩინოს ქეშმარიტი მიზეზი ასეთი უბედურებისა

იქიდანვე. სამტრედიის მოსალოდნელი საავთმყოფო როგორც ამბობენ კურსევისაკენ გადაფრენას ეპირება. ამბობენ ეს ახალ მოდის ფარულ ავიატორთა მოხერხებით ხდებოა.

იქიდანვე. ზოგიერთ ვაქარ-ნოქრებს ისე შეუყვარდათ ჟურნალ-გაზეთების კიხხვა, რომ ხან და ხან მეტის კითხვისაგან თვალებს ასვენებენ და მუდმივ გასართობათ ბეყანასთან მიდიან: აძლევენ თითო შაურს, აძლევენ-აცეკვებენ და მეტი სიცილ ხარხარით გამეღელთა ყურადღებასაც იპყრობენ.

იქიდანვე. ხონის ქუჩაზე ღამით მეტი განათების მიზეზით ჯერ-ჯერობით ერთი დიდი კატასტროფა მოხდა: ეტლები ერთი მეორეს დაეჯახენ და სამი მგზავრი დააშავეს ერთი მძიმეთ, ხოლო სიცივილი არავის არ უფიქრია. კარგი გზის წყალობით ერთმა ფეხი ხელით წაიღო, ხოლო მეორე მგზავრი კი დილით ადრე ამოიყვანეს ღრმა ტალახიდან და დახრჩობას გადაარჩინეს. სხვა ქუჩებში კი ჯერ მშვილობიანობაა.

გრძნობა და გონება

(ვაყვებური).

გრძნობამ ღაღათ ფრთა გაშალა,
უღარდელაუ ვაეცნა,
კარმიდამო გადაკოცნა,
ცის ტატნობში აიფრინა,
ვარსკვლავს სხივი გამოსტაცა,
გულში თრთოლვით ჩაიწვინა,
შვების ზღაში გადასტურა
ინეტარა და ილხინა

სულ ქვეყანას ჩაეკონა,
სამყაროსაც ის ეტახტა,
დაივიწყა სევდა, დარდი
და სიმწარე რაც გადახდა...
ქვევით ქმნილი. უძლეველი,
თვით მწერვალებს გადალახდა,
მარა უძღებს ქვეყნის ტრფობით,
წინ გონება-ქუა დახვდა ..

ასე უთხრა: ვერ გაგიშვებ,
უნდა ვახლდე შეც თანავო.
ჩემთანა ხელ ჩაკიდული
უნდ მოვლო ქვეყანავო.
მეც წიო ვიდებ შენს ბრძოლაში,
უნდა მოვდე შენთანავო
და თუ ერდგულ მოძმეს პოვებ
გეწყინება შენ განაო?

ეს უთხრა და განაცვივა
გრძნობას საზღვარი დაუსვა,
თავ-ნავიწყი აღტაცება
გულში ჩაუკლა, ჩაუწვა,
თვის კალაპოტში აქცია
ანაქაფები, მჩქეფი ზღვა,
არა ისმინა სათუთის
ტკბილი მუდარა და რისხვა ..

ამ დღიდან კლდეთ გადაეჭა
ჩემს გრძნობას ქუეის საზღვარი,
მათი ჭიდილის დასასრულს
ვერ ვხედავ, ვერ მოვესწარი...
ვინ გაიმარჯვებს არ ვიცი,
გამომცნობელი სადარი?
ეგეაი უთანხმოება,
თქვენი ჭირიმე, რად არი?

ვ. ზალ აქიაშვილი.

დ ე ტ ე მ ე ბ ი.

(„მიხაკოს“ სააგენტოსაგან.)

ხაშური. კანტორის მოსამსახურე, — საფონოვი
ენერგიულათ დაეძებს, მაგრამ ჯერაც ვერ იპოვნა...
(ვაპოტოვებულისა) სამწუხაროთ.

იქიდანვე. „ვეკილმა“ — ვ. ძნელადემ, 428/
სტატიის ძალით, და აგრეთვე გულ უბრყვილოპის

ძალითაც, „აღმოაჩინა“ ერთი „პროვოკატორი,“
რისთვისაც მას უშადლეს, ჯილდოთ ეპოძა ერთი მა-
თრახის კული, ზედ წარწერით — „გულუბრყვილო-
ბასათვის“ ..

იქიდანვე. იმავე „ვეკილმა,“ — ვ. ძნელადემ
ამასწინათ, 130 სტატიის ძალით ბ. ფსევდონიმი გა-
მოააშკარავა.. უკანასკნელმა გულმოსულობით, ახ-
ლა ბ ძნელბძეს სამაგიერო გადაუხადა, და მისი ნე-
ბსითი, თუ უნებლიეთი პროვოკაციული ხასიათი გა-
მოააშკარავა. ასე, რომ ხაშურში ახლა კარგათ იც
ნობენ, როგორც ერთს, ისე მეორესაც..

იქიდანვე. სან. პაპინაშვილმა „გადასწყვიტა,“
რათაც უნდა დაუჯდეს „გაუსწორდეს.“ გ. — ლის...
ხოლო მისი ამხანაგები დღეში ორჯერ გალანძლოს ..

შორაპანი. ყვირილის და შორაპნის რკინ.-გზის
მოსამსახურეებმა ამ დღეებში დაადგინეს, — ეთხოვოს
ვისაც ჯერ არს, რათა გადატანილ იქნას ქ. ქუთა-
ისში: ყვირილა, შორაპანი და აგრეთვე ჭიათურის
შტოც, რადგან აქაურ რკ. გზის მოსამსახურეთა
ეკიში, — ბ. წერეთელი იქ (ქუთაისში) ცხოვრობს და
სრულებით ვერ აკმაყოფილებს მისი კვირეში ერთ-
ხელ ჩამოსვლა მოსამსახურე ავთომყოფებს..

(„ვიცე ეშმაკის“ სააგენტო)

მაიმუნეთი. (ძველათ ქუთაისი) აქაურმა ინ-
ტელიგენციამ გადასწყვიტა იმდენი გაზეთი გამოს-
ცეს, რამდენიც აქ (მაიმუნეთში ქუჩა)...

ჭიათურა. ვინაიდან ადგილობრივ საავთმყო-
ფოს ჯერჯერობით საყინულე არა აქვს, გადაწყვე-
ტილია ამ საგნისთვის აქაური აბანო მოიხმარონ.

ხონი. აქაური ვაჭრები გაფაცოცებით ყიდუ-
ლობენ ვარდებს და სხვა და სხვა ყვავილებს. საგუ-
ლისხმიერო სიმპტომია: ალბათ ვინმე „ძლიერი ამა
ქვეყნისა“ ვიზიტს უპირებს ჩვენს მანჩესტერს.

მაიმუნეთი „ანფისას“ ამ დღეებში ჩამოად
ჩობენ. ჯალათობა აქაურ კანტომაროვებს ერგო.

ჩიუიარკი. (დავვიანებული ცნობა) ამა წლის
იანვრის პირველ რიცხვებში, დროების“ ფურცლე-
ბზე გამოჩნდა ცნობილი კომეტა — „სიტყვა.“ მეცნი-
ერების გამოკვლევით მისი კული საქარაველოს ციჴ
სარტყელაა, სწორედ ისეთი, წარღვნის შემდეგ რო
იხილა ნოემ.

(«პრ. ეშმაკის» სააგენტო)

ხონი. ერთი კვრთა რაც ხონის ვაჭრები ერთ
მანეთს თავ პირს ამტვრევენ. მიზეზათ საერთო სა-
დილზე დახარჯულ ფულს ასახელებენ.

იქიდანვე. გაიხსნა ლიტერატურული კლუბი
აბაშიძის საკანდიტეროში.

იქიდანვე. მაქსახლის სიმონიძის ნოტიო არა-
ვის უფლება არა აქვს მის გვერდით ქუდ დახურუ-
ლი გაიაროს.

კონტუაი. — ამ დღეებში ბულიეშვილის დუ-
ქანში ჩხუბ მოხდა დაიკარგა მისი კალოდა კარტი.

ლანირი.—დაატუსაღეს „მოსე მწერალი“ სა-
მსონა. ამის გამო გადაიხადეს 75 პანაშვიდი და 23
წირვა.

ქვიტირი.—ქუთაისიდან დეპეშა მიიღეს, რომ
ივლიანეს მტრედები აქ მოფრინდნენო.

ლანირი.—სამკითხველოს ტიფი დაემართა. გა-
დარჩენა საეჭვროა.

ივანდიდი.—მღვდელ ანდროს განკარგულებით
იყილეს 5000 მან. საცეცხლური და 600 მან. ანა
ფორები.

ხონი—საქალებო გიმნაზიაში ერთმა მოწაფე
ქალმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „არშიყო-
ბა მეოცე საუკუნეში და ჩვენი ტაქტიკა.“

ხონი—ქალაქის ბაღში საშინელი კორიანტე-
ლია ღორებსა და ბატებს შორის ჩხუბის გამო. ჩხუბს
ხელს უშლიან მოწაფეები.

მათაჯი.—15 თებერვალს ღამით დაიკარგა
სამკითხველო. როგორც გამოირკვა ის სოფ. გორ-
ღში დადიანს მინდობია. დადიანს თვეში მისთვის
37 კ. დაუნდნავს ჯამაგირათ.

ნახაშლევი—ბანკის კასაში 5 კ ბუზი დაიჭი-
რეს. ამბობენ ბუზების დაჭერაში პლატონა მწერა-
ლიც დახმარებია ბანკის გამგეებსო.

კუხა—ესტატე მამასახლისს ვერცხლის „პოდ-
ნოსი“, დაეკარგა. მისმა ტირილმა ქვებიც ააცრემლა.

ხონა—ამ დღეებში აქ ერთ-ერთ ლიტერატო-
რის რედაქტორობით გამოვა „ყოველ საათური“ გა-
ზეთი „ცრუებენტელა“.

პატარა ფელეტონი.

უბრალო ანგარიში.

მოსკოველ მწარმოებელთაგან ფრანგ დეპუტა-
ტებისათვის გამართულ მეჯლისის დროს, უცხოელმა
სტუმარმა გასტონ მენიემ გამოიხედა ფანჯრიდან,
მიმოავლო თვალი რუსეთის სივრცეს და აღტაცე-
ბით წარმოსთქვა:

— რუსეთში ასე მილიონი მთესველია, თითქმ
ულმა რომ ათი მანეთით მეტი მოიყვანოს, ერთი
მილიარდი მანეთი შესდგება!

— მილიარდი მანეთი, მილიარდი! ჩაილაპარა-
კეს მწარმოებლებმა და თითოეულმა მათგანმა ნაღ-
ვლიანათ განიელო გულში:

— ეს მილიარდი ხომ შეიძლება ჩვენს ჯიბეში
ჩავარდნილიყო?... უთუოდ ჩავარდებოდა, უთუოდ!
მეჯლისის დათავებამდე ნერწყვ მომდგარ მწარ-
მოებლებს ტუჩებზე უთამაშებდა მოხიბლავი სი-
ტყვა:

— მილიარდი! მილიარდი!!

* *

— რუსეთში გასტონ მენიემ ასე მილიონი მთე-
სველი აღმოაჩინა! ჩაფიქრებით წარმოსთქვა ფინანს-

სთა მინისტრმა.—ყოველ მთესველსა აქვს სახნისი
და ყავს საქონელი. მთელი მისი ქონება ხუთი თუ
ჩანი მინც ეღირება.

ფინანსთა მინისტრმა შუბლი შეიკრა, საანგა-
რიშო ჩოთქი მოითხოვა და დაიწყო:

— თუ რომ სახნის-საქონელს ნაღდ, ფულად
ვაქცევთ, შვილებთ ხუთ მილიარდ მანეთს. ოპ, რა
რჩხით შეგვეძლება მაშინ უცხოელ დეპუტატე-
ბის ცხვირში ამოკვრა!!!

და აი ფინანსთა მინისტრის ოცნებაში დაიხა-
ტა მოხიბლავი სურათი:

ოქროს ტომრები... ბევრი, უთვალავი ოქროს
ტომრები! ის თითონ მედიდურათ აზის ტომრებს და
მასთან, საჩათხოვროთ ხელ-გაწვდილი, მიდიან უცხო
ელი ფინანსთა მინისტრები:

— მოიღეთ ღვთის გულისათვის მცირე მოწყა-
ლება ფლოტის გასაძლიერებლათ... შეეწიეთ ბეჩავ
ხალხს თოფებისა, ზარბაზნებისა და ტყვია-წამლები-
სათვის...

მაგრამ ის მტკიცეა კლდესავით, რამეთუ ყო-
ველი ფულის მექონე მტკიცე კლდესავით.

— წარმოგვიდგინეთ თქვენი საათი! ეუბნება ის
მშვიდობიანის ხმით. მხოლოდ მაშინ შემიძლია გი-
თხრათ, რამდენის მოცემა შეგვეძლება.

უცხოელი მინისტრები მიდიან და ბრუნდებიან
რამოდენიმე ხნის შემდეგ საათებით...

— ხუთი მილიარდი! რა ბედნიერებაა ხუთი
მილიარდი! თავდავიწყებით ოცნებას ფინანსთა მი-
ნისტრი.

* *

რუსეთში ასე მილიონი მზენელ-მთესველია.
დინჯათ წარმოსთქვა გზათა მინისტრმა.—რამდენი
მზავრი იკარგება უსარგებლოთ! ყველა ეს პატივ-
ცემულნი მზენელ მთესველნი ხომ ქვეითად, ფეხით
მოგზაურობენ...

და ცოტა მოფიქრების შემდეგ გზათა მინისტრ-
მა გადაწყვეტით დასძინა:

— ჩინებული იქნებოდა გამოგვეცა ცირკული-
არი; რომელიც ჩვენს მზენელ-მთესველებს ფეხით
სიარულს აუკრძალავდა. აჰ!

გატაცებულმა მინისტრმა ოთახში ბ...ლთა გაა-
ხურა.

— არა... უმჯობესი იქნება, თუ ვაძიებთ
ყველა მთესველს წელიწადში ორჯერ სამჯერ უეჭვე-
ლათ იმოგზავროს პეტერბურგიდან, ვიდრე ვლადი-
ვასტოკამდე რკინის გზით. როგორ აყვავდებოდა
მაშინ ჩვენი რკინის გზები!!!

უმწვერვალესად აღელვებულ გატაცებული მი-
ნისტრი საწერ სტოლს მიუჯდა მოხსენების ..

* *

რუსეთში ასე მილიონი მთესველია! გულიდან
ამოსწყდა ზღვათა მინისტრს. თითოეულ მათგანს რომ

საკუთარი ხარჯით თუნდაც ერთი ჯავშნიანი გემი აეშენებია, მაშინ ხომ ჩვენ ასი მილიონი სამხედრო გემი გვექნებოდა!

— მაშინ ვაჩვენებდით თამაშას იაპონელებს, ინგლისელებს, ამერიკელებს ფრანგებსა და სხვა ერებს! მწარე ამოვოხვრით წარმოსთქვა მინისტრმა.

* *

— ასი მილიონი მთესველი ყოფილა რუსეთში! ტუბილათ ჩაილაპარაკა თავადმა მეშჩერსკიმ.

— ოჰ, ნებას რო მომცემდენ თითოეულ მათგანს ოცდა ხუთი წკებელი დავკრა! რა კმაყოფილებითა და სიამოვნებით გავატარებდი ჩემს ცხოვრების დანარჩენ დღეებს!

ქეშმარიტი სიამოვნების ცეცხლით გაბრწყინდენ თავადის თვალები.

— ოცნებავ, ოცნებავ! სად არის სიტუბიოება შენი!..

ნაღვლიანის და ყალბი ხმით დაასრულა თავადმა.

* *

— ასი მილიონი მთესველი! დაქრილი მხეცივით წამოიძახა ექიმმა დუბროვინმა

— თითოეულმა მათგანმა რომ თუნდაც ერთი უხალთუნი შემოსწიროს „ზნამიას“! მაშინ ხომ სამი თავე გაუღვიძებლივ ილოთებდენ მთელი ლეგიონები „ქეშმარიტ რუსთა კავშირისა“!?

* *

— ჩვენ რუსეთში ასი მილიონი მზენელ-მთესველი ვყოფილვართ! განცვიფრებით ამოიკითხეს გლეხებმა გაზეთიდან გასტონ მენიეს სიტყვები. რა იქნებოდა რომ ჩვენ ერთ სოფლად შევკრებელიყავით..

გლეხებმა ქერო შეიფხანეს და განაგრძეს.

— შევკრებელიყავით ერთად და მთელი საზოგადოების სახელით მთავრობისათვის თხოვნა მიგვეწერა, რომ ვწყდებით შიმშილით, რომ ცხარე ცრემლითა ვსთხოვთ: თუნდაც ათ ათი შაური დაგვირიგოს თითოთს ცოლ-შვილის გამოსაკვებათ .. დაგვიჯერებდენ ნეტავ თუ არა?

თითოეულ მათგანს იღუმალმა ხმამ ჩასძახა.

— არ დაგიჯერებენ, არა! (გაზ. „რეჩი“).

ო. ლ. დორ.

დეკრემბი, ქუთაისიდან.

(„ნათემას“ სააგენტო)

ქუთაისა, ქალაქში წლიდი დღესასწაულია. 7 თერვალს გაიხსნა საზოგადოება „შევარდენი“. მრავალი შევარდენი დაესწრო მაგრამ კიდევ უფრო მეტი ყვავეყორანი.

იქიდანვე. ჩვენს „სახელოვან“ ფილოსოფოს გრ. რობაქიძეს ენის ქაეილი აწუხებს. ამბობენ მალე „ხახის“ აუტრიანო.

იქიდანვე. სახალხო უნივერსიტეტის პირველი დღე, ლამის მისი უკანასკნელი დღე შეიქნეს.

იქიდანვე. თოვლ-ქყაპის გამო ქუთაისის ქუჩებში ისევე გახშირდა ნავეების მოგზაურობა.

იქიდანვე. ქალაქის გამგეობას კვლავაც საღათის ძილით სძინავს.

გურული სცენა.

ვაი, სულო! ვაი, გულო!!

— როის ჩამოხრიგინდი კოწია თფილისიდან? რა ამბავი მოიტანე?

— მე რომ იქინეი სასიხარულო ვნახე, ღმერთმა ნუ მოგიშალოს ნურც შენ და ნურც მე იმისანია. ვნახე, ძმავ, მარა რა ვნახე! გვე ხარე, მარა რა გვიხარე!—თუ დეიჯერებ, ორი მტკაველა გვე ხარე კაცი. დაგელოცა ღმერთო სამართალი—თურმე ქე გამოაჩენ ხანდახან შენ სამართალს! რა გიტირს შე დალაციელო, კვირეში თითო ამფერი სასწაული დამანახვო? მე შენ გეტყვი და დაგეღევა სასწაულ-მოსახდენი, თუ რა გინდა? დიდება შენს სახელს, მარა ერმოლოვისთანა რაზბონის რამდენიც გინდა იმდენს ნახე და იგინის დასჯას თუ ყველაისას მადრისებ, თექქსმეტი წელიწადია ზიარება არ ჩასულა ჩემ პირში და იქნება ქე ვაფიქრო ზიარებაც.

-- რა ნახე კაცო? რა იყო იმფერი, რომ პირჯვარი დაგაწერია—ერმოლოვი რეიზა გამახსენე?

— რა გინდა ძმავ მეტო, ავი ჩვენი დაპირავი, ჩვენი გამამართახებელი, ჩვენი გადასახებელი, ჩვენი ოჯახის ცეცხლის წამკიდებელი, ჩვენი მექრთამე, ქე არ ვნახე დაპირული?!

— ვინ ნახე ბიჭო! ერმოლოვი? ნუ მატყუებ თუ ღმერთი გწამს; მინისტრისებლა კაცია და იმას ვინ რას კადრებდა?!

— აქანაი კი ბღღინავდა, მარა თურმე თვითონ ქურდი და რაზბონიკი იყო, ბანკი არ დუტუბოია გუუტარცავი და ნოხები მუუპარავი. დიფსნა თავსხლაფი, ქე დუუტოავენ თხლუბე! ქე ვარ ჩემდა თფილისში ვაგზალზე. გვიხედეთ დაფატურდენ ჯანდრები: მარშ, მარშო, გამოგვრეკეს—გამოიყვანეს არესტანცი ვაგონიდან მარა რაფერ გამიყვანეს, ბუ-სავით ვეგეოდა ხიშტიანი სალდათები.—შევხედე შორიდან, რას დვინახავ, ქე არ ვიცანი ავი ჩვენი ვეზდის ნაჩანიკი! დევიკოტენ ხელის გულეები—იგი შენ ახლა კი მახთები რაფერია დაპირვა მეთქი,—შენ მართალს სჯიდი ათასობით თუ არ დეიხსნიდა თავსა და გეყოფა საშუშებლათ, ჩავარდი მახეში მეთქი, მუუარე ხანქიკი.

— იცი რას გეტყვი კოწიავე? ტურა რომ ქვეყანას ამუაგდებს, მგელის ბრალია, თვარა იგი იმ დღეს იყო დასაპირავი, დავით დუმბაძემ რომ შემოქმედში კაპპანიეი უქნა და ერმოლოვმა გზაზე კვირიკეთში ორი ხუთას მანეთიანი დახია. ტამბაჩოვი ქე უნდა მიმხედარეყო მაშინ მის სიკეთეს, მარა ხომ იცი, იგენს ერთმანეთის ტყავის დახვევა არ უყვართ.

— მეიცა, მიხელავ პაწეი, ნახავ ასვარია-დასვარიას—მიქიაშვილი დეიტირეს პოსულშია, ერმოლოვია და ისეა, ასათიანი ლაზათიანათ მიპაალურეს, რაცხა ისე მთქვემს გულს, ყველაის გამონდება შავი და თეთრი—უბედური მაიი ამყალი ჩაჩუტების ბრალი, რომცხა მუაწვეს განჯა-გაკითხვის დღეი, ქოფაკები თუ არ დაზოგეს, იგინს, ფინიებს, ვინ გეიხსენებს..

რაშო-რერა!

დღეიწვენი კახეთიდან.

(„კან“-ის სააგენტო)

თელავი. თელავ ს ბოქაული ჩიჩუა, მსურველთ უფასოდ ასწავლის „პროტოკოლების“ წერას.

აქიდა ვე მუშებმა მიკიტნებს ბოიკოტი გამოუცხადეს, მაგრამ ლაფში ამოსვრილები ღამეებს პოლიციაში ან ქალაქის ბაღში ათენებენ.

კურდღელაურ. მიწა იძრა. დაზარალდა მხოლოდ მამასახლისის თავი.

ვარდის ბან. მოძღვარი იროდიონი მალე გამგზავრება სკოლების დასათვალიერებლათ. ბარგის წამოსადებათ საქირია ნა აქლემი.

თელავი. პუდრის ფასმა საგრძნობლათ აიწია. **შილა.** რუსიელები ვახტანგურათ ქეიფობენ ორჯერ გაყიდული ტყის ფულებით.

იქიდანვე. ნამამსახლისარი ვოგიევი, როგორც ამბობენ უკვე დაქვეიანდა. არც მწერალის სიკოცხლეა განსაცდელში. ძლიერ მოუხდა დანიერჯლი დედლები.

იქიდანვე. ადგილობრივი სამკითხველო ხან მარბარაშვილისა და ხან ხანჩაყაშვილის სამიკიტნობში იქარგებს გულის წუხილს.

ბიბლიოგრაფია.

კიდევ ერთი „კულდანი პოეტი“

მფრემ მაკალატი.

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის აყვავებას მრავლის უმრავლესი მიზეზები უშლიან ხელს, მაგრამ ამ მიზეზთა შორის სრულიად უსაბუთოდ ასახელებენ „კაზმული ენისა“ და „კაზმული მწერლობის“ სიმცირეს.

ჩვენს მკილარ ენაზე ლაპარაკი მეთია, ხოლო „კაზმულ მგონებზე“ მგონი ჯერ ბევრს არავის დაუძრავს ენა. ამიტომაც განვიზრახეთ ამ პატარა წერილში მცირედ შევაწუხოთ მკითხველის ყურადღება ერთი ასეთი „კაზმული“ ანუ უკეთ ვსთქვათ „შესაკაზმავი მგონის“ ნაყოფიერებით.

ბ-ნი ეფრემ მაკალათია ისეთი ქკუის კალათი ბრძანდება, როგორსაც ჩვენს კურთხეულ სამშობლოში ასობითა და ათასობით შეხვდები. მან უკვე გამოსცა საკუთარ ნაწარმოების პირველი ტომი და ამგვარათ თავისი წვლილი, ანუ უკეთ ვსთქვათ წვირი, შეიტანა საქვეყნო საუფჯტო საღაროში.

სამწუხაროდ ბევრი ასეთი ნიქი იმალება ჯერ უზრალო ხელთნაწერებში და მხოლოდ მაკალათიასავით რჩეულობს ხვდებათ წილათ საბეჭდავ მანქანაში თავისი მუზის მშვიდობიანი განძვრინება.

აი მოისმინეთ:

ღღეა ცის-მარე ციურნი აკსებჯლი მრავალი ლხენა არსებობს ქვეყნული

ღღე ნათელის სიგრცეში ზოგს ეტკბილება, ზოგს ემწარება ლხენა მრავალი... (გვ. 3)

ამ ოთხიოდ სტრიქონში, როგორც დაინახავთ, მეტის მეტი, ჩვენთვის მიუწვდომელი ღრმა აზრია გამოთქმული. „ციურნი არსებულნი“ „არსებობს ქვეყნულნი“. გაიმავრეთ კვალად გულნი და ჩაჰყევით:

„ველი-ველათა არი სწორი მითვლილი ჰაერიდან შემკობილი მით მობიბინეული უთვალავი უზენაესა მიმართ შემკობილი. ნესტიანი ბურღობითა მათ ფენალი... (იქვე).

აქ ნიქი „კულდანი მგონისა“ უკვე ირკვევა „სწორ მითვლილ“ „ჰაერიდგან შემკობილ“ „არსთა ბურღობ“ შორის და საუცხოვოთ, უზენაესის მიმართ შემკობილ სურათში ეხვევა.

ცოტა ქვემოთ ახალგაზრდა მგონანი ეფრემი*) უმეტეს უახლოვდება ჩვენს ცხოვრებას და საუცხოვო სურათებში გვიხატავს მას.

„სოფლი ბაღა დაბალია შით ყვავილი მორთულია იქნებ ნახო ბიკტორია არ მოწყვეტო მაგლონია. მათ აბია ხეხილია ის გახლავს დაყნილია წითელ ყვითელ ვაშლებია იქნება მიირთვა ყურძენია. (გვ. 24)

სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო საოცნებო რიფმა რათა ღირს! წარმოიდგინეთ რვა სტრიქონში სამის გარდა ყველა „ლია“-ზე თავდება. მაგრამ ღირს ამაზე შეჩერება? ჩაყვეთ დაბლა:

აყვავდი ყვავილო ნორჩ-ფეროვანო ნუ ჩაფშენილიხარ კოკრებსა. ზაფხულის სხივი დაგეტრვის ვით არც მალამო გულისა.

„ნორჩ ფეროვანი“ ყვავილი ეს პირველი თქმაა ჩვენს სიტყვა-კაზმულ მწერლობაში. იმედი გვაქვს ამას ბ-ნი კიტა ჯეროვანათ დაფასებს და ჩვენ კი ერთი ნიმუში კიდევ მოვიყვანთ მკითხველის საკეთილდღეოთ.

„ჩემს გვერდით კლდეა—კლეს გვერდით აბიბინეული ტყვა, ტყეს წინ ზავლია—ზავლის გვერდით აფიცერია—აფიცერის გვერდით კარტიჩა, კარტიჩის გვერდით სულიერია სულიერის გვერდით მანდილოსანია. (გვ. 10).

ამ უკანასკნელი კულექტიდან თქვენ დარწმუნდებით, რომ პოეტი ეფრემი სამოქალაქო და თვით პოლიტიკურ ტემბესაც ისე ადვილათ სძლეეს, როგორც მსოფლიოისა და ბაღჩებისას, აქ თქვენის თვალით ხედავთ, რომ ის იხსენებს, როგორც „ქარხანას“ ანუ ზავოდს, აგრეთვე „აფიცრებსაც“ და წარმოიდგინეთ „სულიერსაც“.

ეს იქმარეთ სადღეისოთ და მალე მეორე ტომზედაც მოგახსენებთ.

პროვატ-ეშმაკი

*) ეგ ის ეფრემი არ გვერწოთ, რომელიც თეირანის პოლიციის უფროსათ ბრძანდება.

საემპაკო უსტარი

ემპაკისადმი გურიიდან.

წერილსა გწერ ჩემო კარგო მე ჯოჯოხეთის მსახური, გამიგონე რაც მოგიტხრა კარგად მომპყარი ყური.

ასპიტი.

ბიძია ემპაკო!

გამიგონია და წამიკითხავს „თევთა ქებაში“ „თებერვალის ბერავსო!“ მაკრამ აბა რას წარმოვიდგენდი, თუ თებერვალის ბერავსა ორფეხა ცხოველებზე (ჯვარი სწერია ქათმებს, ფშუტა ადამიანებზე მოგახსენებ) გავლენას იქონიებდა და ისინიც ბერავს დაიწყებდნენ. ბერავს არის და ბერავს. ვიხუდაც მე მოგახსენებ ისინი ისეთი რიხით იბერებინა, ვი თუ აღრე დაიხუტონ.

თებერვალმა ბერავს იწყო
ლებოლურმა ბანი უთხრა,
—გურიანთამ მოახილ —
—„მეიამემ“ კი გვიტხრა—მოთხრა.

ლებოლურს 25 ვერსტზე აკრავს მამუი მდინარე ჩოლოქის პირათ. ეს მ.შული როგორც თავდა-აზნაურთა საკუთრება, დარჩა სახელმწიფო ბანკს. სანამ ყოფილი მემამულე-მეპატრონენი ბანკს „შეტაკებდნენ“, ბევრი ემუდარ-ეჩინინენ ლეზოურლებს, თქვენს სახელზე გადმოიტანეთ, იაფათ დაგიჯდებათო, მაგრამ რას იფიქრებდნენ ლეზოურლები, თუ მათზე აღრე ბლერი სხვას დაემართებოდა და თავის ფხანს მოყვებოდა.

მაგრამ მოსტყუდენ. ხიდისთავლებმა ჩიჩიო დაუძახეს... უმიწაწყლოთ შთენილი, უმუშევრობით შეწუხებულნი —უკოკუობით (უმეძლობით) მიკნავებულნი ხიდისთავ-ასკანელ-ჯვარცხმელნი, რიცხვით ერთი ასეული (ერთი ГОЛОДНОЙ КОМАНДЫ) შეერდენ და შაკავშირდენ—გაყიდეს რაც რამ ეზადთ (ბევრიც არაფერი ეზადთ) ჩემს ნოტარიუსი ხიდისთავში, შეკრეს პარობა და გადასწყვიტეს, დაეარსებინათ ჩოლოქის პირათ „მშვირთა კოლონია“. გაუგებარი არაფერია. ეს ამბავი ლეზოურლებმაც გაიგეს—დაპყრეს საომარი საყვირი—ვეი მასო! დაძახეს, შემოიერთეს შეიქმედის საზოგადოების მკვანეთლები და გადასწყვიტეს—ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო. პირველათ ბრძოლის ხერხათ ფასის აწევა იხმარეს, ხოლო შემდეგისთვის სხვა გზას მონახევენ.

ასე ჩემო ემპაკო, იბერებიან ლეზოურლები, ბევრენ მაკვანეთლებსც, ისე ირახებინა, თითქო უმიწაწყლონი მათთან ტყვეების მოსატაცებლათ მრდიოდენ და არა სამეზობლოთ. შედეგი ასეთი ბერვისა აშკარაა. გამარჯვება ორივეს თავს დაუტყრავს და მამული...

* *

თუ ჩაქრა ლეზოურლები იბერებიან, არა ნაკლებ იბერებიან ჩაქარებულნი გურიანთლები. გურიანთა გურიის დასავლეთი ნაწილია. აქ უხვათ არის სახნავ-სათესი მიწა წაშლილები და ქარცივაძების. გურიანთლებსც გადაუწყვეტიათ, „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო“ მართალია თითოეული ჩვენთაგანი 600 ფუტს სიმიხს ცყადით, შინაურ საქონელსაც ვაძობთ, მაგრამ ანგარიშით 600 ნაცვლათ რომ ათასი გავყოდით უკეთესიაო. „გურიანთა გურიანთლებისთვისაო“! დასახეს და კიდევ დარჩიგეს განცხადებები: „ვისაც თავი მოძულეობლი არ გაქ, ჩვენში ყანის აღება არ ვაბედლოთ“. არ ვეცი, რას ეუბნებიან გურიანთლები იმ უმიწაწყლო აღმოსავლეთ გურიის ძმებს, რომელთაც აქ კარავი და ან წია აუშენებია და ბაღების დასაპურებელ ჭაღს სტამ-

ბოლ ლონდონში კი არ აზენის გასასყიდათ, არამედ 40—60 ვერსტის მანძელზე მიაქეს—გამზებარი კუქის ფხალობათ.

კვლავ გაიხარე ჯოჯოხეთო, გემეტება მრევლი!

ასპიტი.

დეკემბერი ფრთიდან.

(„ვოლდემარის“ სააგენტო)

მარგანეტის მუშათა „მოწინავე ჯგუფმა“ შექმნა ახალი მოძღვრება მუშათა კეთილდღეობის დასამყარებლათ. მათი აზრით საქირთა გაძვალტყავებულ მუშების ზურგზე მოჯდომა, რადგან თუ ამხანაგი არ გაყვლიფე, ხაზე-ენებს აბა რას დააქლებ. როგორც ხმები დადის ახალ მოძღვრებას ბლომათ უნდებინა მიმდევრები.

დიდი სენსაცია მოახდინა ნიკობურგელმა ფლა მარიონმა გერმანე ტ—მ. ფოთის მაიაკზე მან აიტანა ძველი ზარბაზნის ლულა და იქიდან გაუქვირტა ახლად გამოჩენილ კომეტას. ნიკობურგელ ფლამარიონის დასკვნით ახლო მომავალში გამოჩნდება მრგვალ კუდიანი კომეტა, რომელიც მოიქაცებს ჩვენს დედამიწას და ჩვენს პაერში გავეფრინდებით. აღმაფრენის მოტრფიალენი ემზადებიან ამ ნეტარ წუთის შესახვედრათ. აღთქმულ კომეტის, ნიკობურგის ასტრონომიის მოტრფიალებმა გერმანეს კომეტა უწოდეს.*)

თუმც ქალაქში ძლიერი კრიზისია, და მალაზიები მალაზიებზე იყეტება. მაგრამ ძალიან იმატა ერთ წოდებულმა „კონფეტტი“-ს წარმოებამ ფოთელი გემზაზისტები უხვად ასაღებენ მას ახოვან მასწავლებელთა თავების შესამკობათ.

ფოთის ქალაქის გამგეობამ ეპიდემიის მოსასპობათ თავის დატაც კასიდან დიდძალი ფული გადასდო. დაქირავებულ იქნა სანიტარული ექიმი; ამ ფულებით იყიდეს ათი ვედრა კარბოლის სიმყავე და ერთი განვრცტილი პირისაბათ.

ქვალონი. განსვენებული კუქუხიძის კონტროლიორული სული კვლავ მოველინა კონდუქტორებს და მკზავრებს და შურს იძიებს მათზე ჩვენ დროში ყვილაფერი შესაძლებელი ხდება და ამიტომ არ გავიკვირდება რა, მაგრამ მაინც გვიკვირს თუ როგორ აღსდგა მკვდრებით განსვენებულ კონტროლიორის, კუქუხიძის სული.

შეპითხვა ემპაკისადმი

„ხაშურის ხაშში“

18 თებერვლის სხდომაზე ემპაკთა ზედა პალატაში შეტანილ იქნა საგანგებო შეკითხვა: მი-

*) ამ დებუზას ვწერ გერმანეს თანხმობით. მან ეს წაიხონჯა და ფოთელმა მეწიონებმა მართლად დაუჯერეს.

მაილოვის ზოგიერთ მუშათა-ავნიანობის შესახებ, შემდეგის შინაარსისა:

ამ ბოლო დროს მიხილვში ერობ გავიგონალდენ სამათრახო გვამები. მიუხედავად ამისა, მიხარ ძალიან გავიგონარა, რის გამოც იძულებულნი ვართ, შემდეგის შეკრულებით მივმართოთ სადაც ესე ჯერ არს:

1) მოხსენება, თუ არა მის უშუალოდ ეხება, რომ მიხილოვის დევოს მუშებმა: ი. თელიაძე ა. მამფორიამ; მარგოვა, და აშხ., თავიანთი გულუბრყვილო ცილის წამებით შფოთი და აურხაური ასტეხეს მუშებში?...

2) მოხსენება, თუ არა, აგრეთვე ისიც, რომ როდესაო საქმე ბრალდების დამტკიცებაზე მიდგა, გსენსებულმა პირებმა ერთი „გმირივით“ უკან უკან დახევა იწყეს და ს. სანამართლოს, უკანასკნელის მოთხოვნისაგან, „საუთუბის“ გადაცემაზე უარი უთხრეს?... თუ მოხსენება ყოველივეს, — რა ზომების მიღებას აპირებს მათი უშუალოდ ეხება ამგვარი თავხედობის წინააღმდეგ?

ახ — ი“.

ემშაკთა პალატამ გულდასმით მოისმინა ყოველივე ზემოაღნიშნული და ხმის უმეტესობით გადაწყვიტა: დაინიშნოს საგანგებო მოხელე ემშაკი საქმის გამოსაძიებლათ. მიეცეს მას სახელმძღვანელოთ ერთი მათრახი და სრული გამოძიების შემდეგ საქმის ვითარება მოხსენდეს ზედა პალატის საგანგებო სხდომას.

შ ა ვ ი ქ ა ლ ა ქ ი ჭ ი ა თ უ რ ა .

(„შავი ეშნაკის“ სააგენტო)

მოკლოდნელათ გვეწვია და სამსონ გიკინი-შვილის კაფე კლუბში ჩამოხტა ცნობილი კარტიოქნიკთა ჩემპიონი, სიმონ დარჩია. ხმებია სიმონი აქ სხვათა შორის დაეჭიდება ცნობილ დომენტი ბობუაძესაო.

* *

გამოქვეყნდა შავ ემშაკთა სტატისტიკურ ბიულროს ანგარიში, რომლიდანაც ეტყობილობთ, რომ „პროგრესიულ“ დაწესებულებათა რიცხვი ქიათურაში გამრავლებულა და მათი მოქმედება გაფართოებულა. აი ანგარიშიც 1909 წელში ქიათურაში ყოფილა: 499 ყავახანა; 2,701 სამიკიტნო და 1/4 სამკითხველო. გასაღებულა: 7,000,000 კალოდა ბანქო, 20,000 კამათელი და ნარდი 1,900,000 სპანე ღვინო და სხვა საყლენწი საანები და 2 1/2 ააზეთი. თუ მივიღებთ მხედველობაში ასეთ ზრდას, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქიათურა ამკარათ წინ იწვეს კულტურის გზაზე.

* *

ამ თვეში (თებერვალში) ძლიერ იკლო მუშების წერილ პოდრიადნიკებზე ბოქაულთან საჩივარინა. ხმებია, მომჩივანთა რიცხვი დღეში ასზე ჩამოსულა. ესე იგი მინიმუმზე.

* *

თებერვალში, ჩერნეცკის ჯამაგირის მოსათხოვათ. ქუჩაში მუშები აღარ დასდევდენ არ იციან, თუ რა არის მათზე.

* *

როგორც ხმებია გავრცელებული, თურმე ვიცე „ზუბრი“ ვლ. წერეთელი თავის ნაწვავ-ნადავ სახლში აღებულ ფულს 15,000 მანეთს ისევ გლენებს უბრუნებს.

* *

ამ შაბათს აბანოდან უჩქემოთ და უტანისამოსოდ არავინ წამოსულა. როგორც ვაფიგეთ, აბანოს ეხლა ორ თვეში მხოლოდ ერთხელ გააღებენ, რადგან მობანავეთა რიცხვი თან დათან კლებულობს.

* *

მარკოვ მეორის სათათბიროს 15 სხდომიდან გაძევებამ, აქაური მუშები ძლიერ დაალონა.

* *

საწარმოვო კაპიტალის შემოკლების გამო, ექსპორტიორებმა მუშებიდან დაიწყეს „ზალოგის“ სახით ფულის სესხება.

* *

კოოპერატიული მომხმარებელი საზოგადოება „ჩვენი ოჯახი“ 50 ფუთ პურზე მეტს ყიდის დღეში. ჩაეწერა 20,000 მეტი წევრი. საწევრო ფული მოგროვდა 7 მანეთი და 50 კ.

მათრახის ფოსტა.

თფილისი. ელ. ქ-ს. თქვენ უძველესი ნიჭი გეტყობათ მო: რგნელსა, მაგრამ ჩვენ თურნალს არ შეეფერება მათი ნაწარმოები. კრილოვის იგავები ორჯერ არის ნათარგმნს ქართულად და თქვენც ორივესაგან შორსა ხართ. მკითხველთა საყურადღებოთ მოვიყვანთ ერთ ადგილს:

გუგუზლი და ბილურა (Чижик и соловей)

„იყო სახლო,

ფანჯრის ახლო

ეკიდა ვალია,

შიგ საწყალია

ჩიტი გალობდა

(მას ხმა სწყალო? და!)

როცა რომ ჩიტი გალობას იწყებდა,

პატარა ბიჭი ჭეყანას იკლვდა“ და სხ.

ერთი სიტყვით ჩინებულია, რომ ჩვენთვის შესაფერო იყოს.

საღმე. უბედურ ეშმაკს. უბედურების ძებნას დიდი ხანი არ სჭირია, მაგრამ თქვენმა „ნაამბობმა“ სწორეთ განცვიფრებაში მოვიყვანა.

„მამასხლისი ტყავს გვაძრობს,

პრისტავიც კი, ვარეს შრებვ;

მაგრამ, როდესაც იქნება,

მაგათს უტირებ დედ-მამას.

კაცო, გავაგებეთ რომელ ქვეყანაშია, რომ მამასხლისი ხალხს ტყავს აძრობს და წარმოიდგინეთ «პრისტავიც კი ვარეს შრებავ» ეს ძლიერ საინტერესოა.

„ბოორჩიკი“ კი, აგერ მოდის,

და თხოულობს დრამის ფულსა;

და, ყველას გთხოვთ ჩემსა ძმებსა,

შემწევთა მომცეთ ცოტას.

ხოლო რაიცა შეეება „ბოორჩის“, რომელიც დრამის ფულსა თხოულობს, ეს ალბათ დატარება თქვენი მუხის მიერ


იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე ცხვესხანკებთ მსურველთ:

1909 წლის „ალმანახები“ 7 ნომერი

და „მათრახი და სალამური“ 29 ნომერი

ერთად შეეკრილი 2—50 კ.




სამეცხოველია

მეისრის სიმღერა.

სადგურის უფროსს გვიკებენ
სიკეთით სავსე პირია:
ფანარი თუ კი ხელში აქვს
მუშტები აღარ სჭირია.

თავზე დაამსხვრევს უთუოდ,
(თუმცა ჟაგარი შუშაა)
ეს იმიტომ, რომ სამუსრი
დაბალი ღობის მუშაა.



როდის მოხვდება „კომეტის“ კუდი დედა-მიწას.

კუდიანი ვარსკვლავი.

პირველ წერილში ჩვენ მოვახსენეთ, თუ რისთვის აფრთხობდა კუდიანი ვარსკვლავის მოწვევება დედა-მიწის მცხოვრებლებს და უმეტესათ კი „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“.

და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ აქ საშიში არაფერია, გასაკვირი და დამაფიქრებელი კი მეტის მეტათ ბევრი. წარმოიდგინეთ, თქვენს ოჯახში შემოიჭრა სრულ იად უცხო და არაჩვეულებრივი ადამიანი, ანუ უკეთ ვსთქვათ არსება! ცხადია ის დიდ გაოცებასა და არევ დარევას გამოიწვევს ოჯახის წევრთა შორის და ეს მითა უმეტეს, თუ დაუპატივებელი სტუმარი ბევრ რამეში განსხვავდება მასპინძელთაგან.

ამგვარივე კუდიანი ვარსკვლავის მოვლინებაც. ჩვენი მზის ოჯახობა, რომელიც რვა დიდი და ოთხასიოდ-წერილი ქვეყნებისაგან შესდგება, დასკურავს უსაზღვრო სივრცეში წყნარათ და ლალათ, არავითარ საგრძნობელ ცლილებას აქ ადგილი არა აქვს, არავითარი არევ-დარევა აქ მოსალოდნელი არ არის. თითოეულმა წევრმა ამ უზარმაზარი ოჯახობისამ (მათ შორის ჩვენა დედა მიწამაც) იცის თავისი გზა, აქვს თავისი მიმართულება და იოტის ოდნავაც არ შესცვლის უხსოვარ, დროადან მიღებულ სიჩქარესა და მიმართულებას.

უკებ, გაიხედავთ, რომ სრულიად ახალი, უცხო და უცნაური სტუმარი შემოიჭრა ამ მწყობრ, გარმონიულათ განწყობილ ოჯახში! ის მოულოდნელია ივით მსოფლიოს მოადრავჯეთათვის. უკანასკნელი, იანვრის კუდიანი ვარსკვლავი, მოულოდნელი იყო თავია ასტრონომებისათვისაც. როგორც ზაფხულის პუპელა, ეს ახალი სტუმარიც, შემოუწავარდებს თავისი გრძელი და მოხდენილი კუდით ჩვენს მანათობელს, ბრწყინვალე მზეს, თითქო უნდა ფრთები გაითბოსო და კვლავ მისცემს თავს დაუსრულებელ სივრცეს მსოფლიოსას.

ადამიანის ვონება ძველათაგანვე იმგვარათ არის აღზრდილი, რომ მთელი ხილული ქვეყნიერობა მის სასიამოვნოთ, სასარგებლოთ თუ მის დასასჯელათ გაჩენილი ჰგონია. ძნელათ დააჯერებ ჩვეულებრივ მცხოვრებს დედა-მიწისას, თუ მზე ბუნებაში იმისთვის არ გაჩენილა, რომ ადამიანს გაუნათოს, გაათბოს და გაზარდოს; რომ მთვარე გაცილებით ადრე ჰფენდა თავის შუქს დედამიწას, ვიდრე მასზე ორ-ფეხა, მდიდური ადამიანი ბოგინს დაიწყებდა. აგრეთვე ძნელი დასაჯერებელია ადამიანის გონებისათვის, რომ ეს უცხო სტუმარი, კუდიანი და მოელვარე, არ გამოეგზავნა განგების ძალას, მათ, ადა მიანთა დასასჯელათ.

რას იზამთ, ასეთია ადამიანის ბუნება! თითონ კუდიანი ვარსკვლავი კი ამაზე ერთობ

ნაკლებათ ფიქროზს და მინდობილი მსოფლიო მიმზიდველობით კანონზე დანავარდობის განუსაზღვრელ სივრცეში, ერთი მზიდან მეორემდე, მეორედან მესამემდე და სხვ. მხოლოდ ზოგიერთი მათგანნი სხვადასხვა შემთხვევათა გამო ემწყვედვიან მზის ოჯახობაში და ამის შემდეგ მისი ნამდვილი, თუ მუდმივი წევრი ხდებიან.

ერთი ამგვართაგანია მომავალი, გალღვის კუდიანი ვარსკვლავი. გზა მისი თუმცა ძლიერ შორსაა გატყორცნილი ჩვენი მნათობისგან, მაგრამ მიმზიდველობითი ძალა მისა იქაც იმორჩილებს და უკუ აბრუნებს მას.

ასტრონომების სიტყვით გალღვის ვარსკვლავი უკვე გამოჩნდა დიდრონ ტელესკოპებში (დურბინ-ღებში) და ადვილია მისი გზის გათვალისწინება. მათ უკვე გამოანგარიშებული აქვთ, თუ როდის სად იქნება ჩვენი კუდიანი სტუმარი და როდის არის მოსალოდნელი დედა მიწას შეეხოს იმის გრძელი და ნათელი კუდი. ამ მოსალოდნელი შემთხვევის გამო ბევრი ქორები ვრცელდება ჩვენში და რამდენათაც კუდიანი ვარსკვლავი მოგვიახლოვდება ეს ქორი, იმდენათ უფრო გაიზრდება.

განა რა ენაღვლება რომელიმე მატყუარას, თუ კი თავისი მიზნის მისაღწევათ კუდიანი ვარსკვლავითაც ისარგებლებს?

„ბევრს განათლებულსა და ცნობილ პირებს სჯეროდათ, რომ 1528 და 1577 წლებში ქვეყანა უნდა დაქვეუდლიყო“ ამბობს ფლამარიონი. „მხოლოდ მარტოთ მარტო ბერები გამოდგნენ ფიზიკის კარგი მცოდნენი და უბედური წამის მოლოდინში ხელ გაშლით იღებდნენ ყოველგვარ შემოწირულეზასო.

ბერები, თუ სხვა და სხვა ამგვარი მატყუარები, რალა თქმა უნდა ახლაც საკმაოთ ისარგებლებენ „მოყვასთა“ თვისთა უცილობით და მჭეუგნებლობით.

ჩვენი გაზეთის მე 13 გვერდზე მოთავსებულია, სურათი, სწორეთ ამ მოსალოდნელი შემთხვევის შესახებ. იქ შავი ხაზით არის ნაჩვენებნი დედა-მიწის, ანუ იმ ქვეყნის გზა რომეოხედაც ჩვენ ვცხოვრობთ. თეთრი ხაზით კი აღნიშნულია კუდიანი ვარსკვლავის გზა. პატარა ისრები ამ გზათა ბოლოებში უჩვენებენ იმ მიმართულებას, თუ საიდან საით მიდის, მოძრაობს დედა-მიწა და კუდიანი ვარსკვლავი.

ერთ უმთავრეს საბუთს იმის დასამკიცებლათ, რომ კუდიანი ვარსკვლავი არ არის ნაწილი ჩვენი მზის ოჯახობისა, წარმოადგენს სწორეთ მისი მიმართულება. ყოველი წევრი, ანუ უკეთ ვსთქვათ ყველა ქვეყანა, რომელიც კი ჩვენი მზის ოჯახობაში შედის და დაუდრომლივ გარს დასტრილობს მზის ბრწყინვალეობას, მიმართულია ერთის მხრით, სახელდობრ დასაჯელეთიდან აღმოსავლეთით. აქ არავითარ გამოჩაქოს აღილი არა აქვს და ამ კანონს ერთნაირად ემორჩილება, როგორც ბუმბერაზი იუპიტერი, აგრეთვე პატარა მერკურიც. სულ სხვასა ვხედავთ კუდიან ვარსკვლავთა მოძრაობაში. როგორც აქვე, სურათზე შენიშნავთ, ეს თავის გზაზე მოჰქრის სწორეთ პირდაპირ წინააღმდეგ, ანუ აღმო-

საველეთიდან დასაველეთისაკენ. კუდიანი ვარსკილავისა და დედამიწის სხვა და სხვა მდებარეობა სურათზე აღნიშნულია რიცხვებით. როგორც ხედავთ, ხუთ მაისს გალღის ვარსკილავი, დედამიწა და მზე იქნებიან ერთ ხაზზე გამწკრივებულნი და რადგანაც კუდი ყოველთვის მზის წინააღმდეგ არის მიქცეული, ამიტომ სიგრძე კულისა მოუწყვეს დედამიწამდე და ჩვენი ქვეყანა, მისი მუდმივი თანამგზავრითურთ (მთვარით) გაივლის ამ კუდში.

ასტრონომების აზრით, ამ მოვლენას ჩვენ, უბრალო მომაკვდავები ვერც კი შევნიშნავთ. შეიძლება ზეცა უფრო ნისლიანი, ფერმკრთალი დარჩეს, მორჩა და გათავდა. სხვა მოსალოდნელი არაფერია და ვისაც არ ეცოდინება, რომ ამ დღეს ეს უნდა მოხდეს იმისთვის სრულიად შეუნიშნავი დარჩება. ცხადია, კუდიანი ვარსკილავის გრძელი და მოვლვარე კუდი, რომლის სიგრძე ხშირად რამდენი ათეული მილიონ ვერსს უდრის, არ არის მაგარი ნივთიერებისაგან შემდგარი. ესეც არ იყოს 1861 წლის 30 ივნისს ყოფილა ასეთი შემთხვევა, დედა მიწასა და მთვარეს ააუღლიათ ვარსკილავის კუდში, მაგრამ ამით დედა მიწაზე არავითარი ცვლილება არ მოხდარა.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! როგორც იყო ვედირსე „თანხმობას“, ბ. სანდრო ზაზინაშვილისკან, რომ ჩვენი საქმე სამედ. სამართალმა ჩემი რწმუნებულის თანდასწრებით გააჩიოს, მაგრამ ერთი რამ კი ვერ გავიგია ბ. ზაზინაშვილის. „მათრახ სალამურის“ № 7-ი ის სწერს: „მე მხოლოდ ჩემი სამართლის აღდგენა მაინტერესებს და არა სხვა რამე“. დეე გარჩიონ საქმე შედატორებმა და ამასაც ენახეთ... ხოლო წინანდელ ბრალდებას მე ვუმეტებ კიდევ იმას, რომ ბ. სანდრო ზაზინაშვილი სისტემატურ ზრთავაგინას ეწვეა როგორც ჩემს წინააღმდეგ აგრეთვე თრ სხვაზედაც, რასაც უესადლებულია არა სსურველი შედეგი მოევეს..

კიდევ ვსთხოვ, ჰატივეცემულ შედატორებს, რომ სსმ. სსსამართლის განჩენი უსათვალ ვრღლად, ამავე „მათრახ-სალამურ“-ში გამოეყნან. რაც შეეხება საქმის გაჩევის ვადას, — მოვასხეუნებ ბ. ზ. შეილს, რომ დდიდან ამ წერილის გამოცხადებისა, თრ გვირამო ვერ გაუტხავნი ჩემს რწმუნებულს მის, რადგან მასი დასახელება არ შემედება, სხვა და სხვა საქმეების გამო, მამასდამე, ვერც სსსამართლო შესდგება ამ ხნის განმავლობაში. . შემდეგ კი იხებთს..

ბ. კალანდაძე.

ჰატივისცემით გ — ლი.

წელიწადი

1910 წლისათვის

მ ი რ ა ე.

მიიღება ხელის მოწერა უთველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალში



მათრახი და ხალამური

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ენი ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიღწანს აკუას-ტოს პირველ რიყხეებშ ჟურნალთან ერთათ

პრემიათ გააგზავნება სხალი პრემიული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: დეკსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.

წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ელირება 1 მ.

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის სრულად უნდა აუთილავლათ შემოიბანონს პირვალ იხენსამდე. ვნც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიბანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცაფიკე ნომერი 10 კ.

ფულის გამოსავზავნი აღრესი: Тифлисть Типография Т-ва „Шрома“ Василию Карамановичу Болквалзе.

დაფიქრებული რედაქტორი იუმ. ჟურნალისა.



ძიძა. ბ-ნო, ჩვენი პატარა დღეს ერთობ სუსტი და მოწყენილია.



რედაქტორი. რა? სუსტი?.. მოსაწყენი?.. კალათში, კალიათში! Съ рис. Кочи (Тпара).